

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №17

ქ. აბაშა, 2018 წლის 26 დეკემბერი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია, შოთა
ჭანტურაია და მერაბ მელია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზურაბ შუბლაძე, კოკი ჩაჩავა და ბენია
პიტავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: შ. ჭანტურაიამ და ზ.გაბელაიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

დადგენილების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 11:30 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა